

„სამოქალაქო საბჭოს“-ს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

„სამოქალაქო საბჭო“-ს მიზანია პროექტ „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფარგლებში მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პროექტების შესწავლა და გამარჯვებული პროექტების გამოვლენა.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. დებულება შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს და „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს დებულების შესაბამისად, იგი განსაზღვრავს საჩხერის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო საბჭო“-ს (შემდგომში საბჭო) კომპეტენციას, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობის და თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების მიზნით.
2. საბჭოს შემადგენლობაში შედის კორბოულის წარმომადგენლობაში შემავალი სამი ზონის წარმომადგენელი(სოფელი კორბოული-ორი წარმომადგენელი,სოფელი ნიგვზარა _ერთი წარმომადგენელი და სოფელი შომახეთი _ერთი წარმომადგენელი) და მრჩეველთა საბჭოს წევრი კორბოულის წარმომადგენლობიდან.
3. საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართულად ჩაითვალოს თუ მას ესწრება საბჭოს მინიმუმ 3 წევრი.
4. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება).

მუხლი 2. „სამოქალაქო საბჭო“-ს უფლება-მოვალეობა

1. „სამოქალაქო საბჭო“:
 - ა) განიხილავს „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს მიერ მოწოდებულ დადებითი დასკვნის მქონე პროექტებს.
 - ბ) ახდენს წარმოდგენილი პროექტების შესწავლას და ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას თემისათვის იმ ეტაპზე პრიორიტეტული პროექტის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ.
2. „სამოქალაქო საბჭო“-ს ვალდებულება:
 - ა) გამოავლინოს გამარჯვებული პროექტები არა უგვიანეს 30 ოქტომბრისა.
 - ბ) ინფორმაცია მიაწოდოს პროექტების ავტორებს, „სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს და კოორდინატორებს განხილვის დღის დანიშვნასთან დაკავშირებით.
 - გ) საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობას წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია გამარჯვებული პროექტების შესახებ.

მუხლი 3. „სამოქალაქო საბჭო“-ს სტრუქტურა და საქმიანობის წესი

1. „სამოქალაქო საბჭო“-ს საქმიანობას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე.
2. საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა საბჭოს წევრებიდან ხმათა უმრავლესობით.
3. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით.

მუხლი 4. ანგარიშვალდებულება

1. „სამოქალაქო საბჭო“ ანგარიშვალდებულია კორბოლის მოსახლეობისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.